საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 27 დეკემბრის

დადგენილება №2668

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და
შპს „სის ბიზნესსერვისის“ მიერ
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების
დაფუძნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და შპს „სის ბიზნესსერვისის“ მიერ დაფუძნებულ იქნეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, უნივერსიტეტის წილი განისაზღვროს 26%-ით, ხოლო შენატანი – სამუშაოს შესრულებით ან/და მომსახურების გაწევით;
2. წინამდებარე დადგენილება გადაეცეს უნივერსიტეტის წარმოამდგენლობით საბჭოს (სენატი) დასამტკიცებლად;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი, პროფ. დ. თავხელიძე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე